

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



„ვამტკიცებ“  
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის  
————— თ.ვარშანიძე  
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის  
2018 წლის 28 დეკემბრის N10 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორში“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის  
მექანიზმი

ბათუმი  
2018

## სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი

1. შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრში ეკვატორი“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.
2. სამედიცინო პუნქტი განთავსებულია კოლეჯის შენობაში და მის მუშაობას წარმართავს ექიმი.
3. სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით.
4. კოლეჯი ვალდებულია ექიმის მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.
5. კოლეჯი და თავად ექიმი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება.
6. ექიმი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:
  - ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
  - ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.
7. ექიმი ვალდებულია აწარმოოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტების რეგისტრაცია, შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის განახლება, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის პროფესიული სტუდენტების ადაპტირების პროცესი.